Caparol Marmorino Effekt II

დამცავი, დეკორატიული ბათქაში - ინტერიერის დეკორატიული გაფორმებისთვის.
ქმნის მინერალური ზედაპირის ეფექტის მქონე დანაფარს.

ColorExpress

პროდუქტის აღწერა

ბათქაში - გლუვი და წვრილფაქტურიანი დანაფარების შესაქმნელად. ბუნებრივი და თანამედროვე მინერალური ზედაპირების ეფექტით, როგორიცაა: მარმარილო, ბუნებრივი ქვა და ქანები, ცემენტი, ბეტონი, ტრავერტინი, კირქვა, ქვიშაქვა, ტუფი და სხვა.

გამოყენების სფერო

სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, საოფისე შენობები, რესტორნები, ჰოლები, კვების ობიექტები და საწარმოები, საცხოვრებელი და სამეურნეო ფართები და სხვა.

თვისებები

- კარგად მკვრივდება და შესანიშნავად პრიალდება
- მარტივად დაიტანება და მარტივად ფორმირდება ფაქტურა
- სხვადასხვა ფერთა ტონის იდეალური შეერთება
- ოპტიმალურად დაბალანსებული ღია სამუშაო დრო
- შესაძლებელი სხვადასხვა (გლუვი და წვრილმარცვლოვანი) დატანის მეთოდების გამოყენება
- მშრალი და სველი ფენების პოლირების შესაძლებლობა

შეფუთვა

თეთრი ბაზა ColorExpress-ის კოლირების სისტემისთვის: 7 კგ, 14 კგ.

ფერი

მასალა მიეწოდება თეთრი სახით და შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლირების გარეშე.

პროდუქტი არის საბაზისო მასალა და ამიტომ მისი შეფერადება სასურველ ფერში მხოლოდ ColorExpress-ის სისტემის აპარატით არის შესაძლებელი. ფერზე დაყენებული პროდუქტი დატანამდე უნდა შეედაროს სასურველ ფერს, რათა გამორიცხულ იქნას ფერთა სხვაობა. ერთი ზედაპირის ღებვისას გამოიყენეთ იდენტური წარმოების სერიის მქონე პროდუქტი.

სიპრიალის ხარისხი

დამოკიდებულია მასალის დატანის მეთოდზე.

შენახვის პირობები

შენახეთ გრილ ადგილას, დახურულ შეფუთვაში და დახურულ სასაწყობე სივრცეებში - არანაკლებ +5°C ტემპერატურის პირობებში.

ტექნიკური პარამეტრები

სიპრიალის ხარისხი: მქრქალი, აბრეშუმისებრი მქრქალი
(დატანის მეთოდისა და პოლირების ხარისხის მიხედვით).

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,73 გ/სმ³.
- მაქსიმალური ნაწილაკების ზომა: 0,2 მმ.

მხარდამჭერი პროდუქტები

Caparol Putzgrund 610.

CAPAROL

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები	მინერალური ბათქაშები, ფითხები, თაბაშირმუყაო, დისპერსიული მქრქალი საღებავები, ბეტონი. ახალი კირ-ცემენტიანი ბათქაშების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ 2-4 კვირის შემდეგ. ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მზიდუნარიანი და თავისუფალი განმაცალკევებელი ნივთიერებებისაგან.
ზედაპირის მომზადება	ზედაპირი უნდა იყოს გლუვი და ერთგვაროვანი. ძლიერ შემწოვი ზედაპირები წინასწარ დაგრუნტეთ პროდუქტით: Caparol CapaSol Tiefgrund - ფუნჯით, გორგოლაჭით ან მიფრქვევის აპარატით - განუზავებელი სახით; ხარჯი - 100 მლ/მ²-მდე. მწარმოებლის მიერ რეკომენდებული ანალოგები: Alpina EXPERT Einlassgrund. ზედაპირის საბოლოო გასწორებისთვის დაიტანეთ ფითხი Caparol Akkordspachtel finish - უჟანგავი რკინის შპატელით ან ბათქაშის სატუმბი აპარატებითა და მაღალი წარმადობის უჰაერო გამფრქვევებით; ხარჯი - 1600-1800 გ/მ² 1 მმ სისქის ფენაზე. ნაწილობრივი გამოშრობის შემდეგ ზედაპირი დაამუშავეთ წყლით დასველებული ღრუბლიანი სათლელით, ხოლო სრული გამოშრობის შემდეგ - დააზუმფარეთ მშრალად. მწარმოებლის მიერ რეკომენდებული ანალოგი: Alpina EXPERT Feinspachtel Finish. ზედაპირი დაამუშავეთ პიგმენტირებული, კვარცის შემავსებლიანი გრუნტით: Caparol Putzgrund 610. საგრუნტი და შუალედური ფენა - Caparol Putzgrund 610 დასაშვებია განზავდეს წყლით (წყლის დამატება 10%-მდე) - საჭირო კონსისტენციის მისაღებად. Caparol Marmorino Effekt-ის ფერადი (კოლირებული) თხელი ფენა დანაფარების დატანის შემთხვევაში, პროდუქტი Putzgrund 610-ის კოლირება უნდა მოხდეს - დეკორატიული დანაფარის ტონალობაში. ხარჯი გლუვ ზედაპირზე შეადგენს დაახლ. 250–350 გ/მ². მწარმოებლის მიერ რეკომენდებული ანალოგები: Alpina EXPERT Beton-Kontakt. ზედაპირის მომზადება და სამღებრო სამუშაოების შესრულება უნდა განხორციელდეს SP 1.03.01-2019 (BY) მოთხოვნების შესაბამისად.
დატანის მეთოდები	Caparol Marmorino Effekt II დაიტანება ერთ ან რამდენიმე ფენად თეთრ ფერში ან კოლირებულ მდგომარეობაში (შესაძლებელია რამდენიმე ფერის ტონალობის გამოყენება), რკინის შპატელით ან ვენეციური კელმით, შერჩეული ტექნიკისა და საჭირო დეკორატიული ეფექტის მიხედვით; ხარჯი – 1900 გ/მ²-მდე. განახორციელეთ Caparol Marmorino Effekt II მასალის დაგლუვება ზედაპირზე (დაპრესვა), შემდეგ მოახდინეთ ზედაპირის პოლირება (დასაშვებია როგორც ნესტიან მდგომარეობაში, ასევე ოდნავ გამშრალი დანაფარის შემთხვევაში, დაგლუვებიდან 6–8 საათის შემდეგ) რკინის ვენეციური კელმით.
დაფარვის სტრუქტურა	წინასწარ აუცილებელია ზედაპირის დამუშავება პიგმენტირებული, კვარცის შემავსებლიანი გრუნტით,როგორიცაა მაგალითად - Caparol Putzgrund 610. Caparol Marmorino Effekt დაიტანება ერთ ან რამდენიმე ფენად, შერჩეული ტექნიკისა და საჭირო დეკორატიული ეფექტის მიხედვით. მასალის პოლირება იწვევს ზედაპირის პრიალა მდგომარეობამდე მიყვანას. ინდივიდუალური ეფექტის მისაღწევად შესაძლებელია მისი კომბინაცია Caparol-ის სხვა დეკორატიულ მასალებთან. დამატებითი დატვირთვებისა და რეცხვამედეგობის გასაზრდელად რეკომენდებულია - დამცავი ლაზურის - ფენის დატანა. დამცავი მასალების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს Caparol Marmorino Effekt II-ით შესრულებული დანაფარის - სიპრიალის ხარისხის ცვლილება.
ხარჯი	დაახლ. 0,9–1,0 კგ/მ² ერთ ფენაზე - გლუვი ფაქტურა. დაახლ. 0,4–0,5 კგ/მ² - წვრილმარცვლოვანი ფაქტურა. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანით.
გამოყენების პირობები	არ გამოიყენოთ მასალა, როდესაც გარემოს, ზედაპირის ან თავად მასალის ტემპერატურა +10°C-ზე დაბალია ან +30°C-ზე მაღალია.
შრობის დრო	+20°C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში, ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 8-12 საათში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება. არ დაუშვათ ზედაპირის მკვეთრი გამოშრობა.
ხელსაწყოების წმენდა	გამოყენებისთანავე გაირეცხოს წყლით და საპნით.
შენიშვნები	მექანიკური ზემოქმედების (ხახუნი, წმენდა) შედეგად შესაძლებელია დანაფარის სიპრიალის ცვლილება, რაც დეფექტად არ ითვლება. დანაფარის სიპრიალის ცვლილება გავლენას არ ახდენს მზა დანაფარის სიმტკიცის მახასიათებლებზე. დამატებით, დატვირთვების მიმართ მედეგობის და რეცხვამედეგობის გასაზრდელად რეკომენდებულია ცვილის ან ლაზურის / დამცავი ფენის დატანა. დამცავი მასალების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს Caparol Marmorino Effekt-ით შესრულებული დანაფარის - სიპრიალის ხარისხის ცვლილება.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას. დატანისა და გაშრობის დროს უზრუნველყავით შესაბამისი ვენტილაცია. მასალასთან მუშაობისას არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ. არ დაუშვათ კანალიზაციაში/სანიაღვრე წყლებში და ნიადაგში მოხვედრა. კანთან ან თვალებთან კონტაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ და საფუძვლიანად ჩამოიბანეთ წყლით. მიფრქვევით დატანისას მოერიდეთ ორთქლისა და აეროზოლის ჩასუნთქვას. ახასიათებს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსისა და კანის გამაღიზიანებელი მოქმედება. მავნეა გადაყლაპვისა და ორთქლის ჩასუნთქვის შემთხვევაში. კანზე მოხვედრისას, მომატებული ინდივიდუალური მგრძნობელობის მქონე პირებში, შესაძლებელია ალერგიული რეაქციის განვითარება. მასალა არ შეიცავს ორგანულ გამხსნელებს და ამიტომ არ არის ხანძარ საშიში და ფეთქებადი.
უტილიზაცია	ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. პროდუქტის გამყარებული ნარჩენები - უტილიზაციას ექვემდებარება, როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენები.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	ეს პროდუქტი შეიცავს 30 გ/ლ-ზე ნაკლებ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
შემადგენლობა	აკრილის კოპოლიმერის დისპერსია, წყალი, მინერალური შემავსებლები და პიგმენტები, დანამატები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge